# სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 09

2016 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

**„2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 იანვრის N07 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის გიორგი ხიშტოვანის სამსახურებრივი ბარათის (N39526, 20.01.2016) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „2016 წლის 15 მარტიდან 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გაცემის მიზნით საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 18 იანვრის N07 ბრძანებაში და ბრძანების მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი N3 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. . ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

# ბიუჯეტი

| ფონდიდან მოთხოვნილი თანხა | | | | | დაფინანსების სხვა წყარო (თანადაფინანსება) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | ხარჯვის კატეგორია | თანხა | ვალუტა | თანხა ლარში | თანხა | ვალუტა | თანხა ლარში |
| 1 | მგზავრობის ხარჯები | | | 0 | | | 0 |
| 2 | ღონისძიებაზე სარეგისტრაციო გადასახადი | | | 0 | | | 0 |
| 3 | ვიზა | | | 0 | | | 0 |
| 4 | სამოგზაურო დაზღვევა | | | 0 | | | 0 |

| ფონდიდან მოთხოვნილი თანხა | | | | | | | დაფინანსების სხვა წყარო (თანადაფინანსება) | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | ხარჯვის კატეგორია | დღეების რაოდენობა | 1 კაცი/ 1 დღე თანხა | ვალუტა | ჯამი ვალუტაში | ჯამი ლარში | თანხა | ვალუტა | თანხა ლარში |
| 5 | სადღეღამისო ხარჯები (1კაცი/1 დღე) | | | | 0 | 0 | | 1. AED 10 არაბეთის გაერთიანებული საამიროების დირჰამი | 0 |
| 6 | საცხოვრებელი ფართის დიქარევის/ სასტუმროს ხარჯი (1 კაცი/ 1 დღე | | | | 0 | 0 | | | 0 |

სულ ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარში): 0

სულ თანადაფინანსება (ლარში) 0

განმცხადებლის შენიშვნა (საჭიროების შემთხვევაში):